



ფინანსური ანგარიშგება

შპს კავკაზ ცემენტ ჯორჯია

2018 წელი 31 დეკემბერი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სრული შემოსავლების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	1 იანვარი, 2017
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		7,056	6,242	6,326
არამატერიალური აქტივები		205	167	41
გრძელვადიანი ინვესტიციები		-	-	-
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		612	505	247
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		2,760	1,118	1,424
გაცემული სესხი		1,346	1,271	172
წინასწარ გადახდები		701	33	33
გადასახადები		-	-	-
ფული და მისი ექვივალენტები		50	23	30
მთლიანი აქტივები		12,730	9,359	8,273
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ფინანსური ლიზინგის ვალდებულებები		618	720	134
გრძელვადიანი სესხები		3,003	82	813
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		767	1,912	2,333
ვალდებულებები საქონლის და მომსახურების შეძენიდან		2,751	1,014	321
მეღებულის ავანსები		104	32	30
გადასახდელი დივიდენდი		-	-	-
გადასახდელი გადასახადები		149	155	183
მთლიანი ვალდებულებები		7,392	3,915	3,814
კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი		9,304	8,739	7,444
გაუნაწილებელი კაპიტალი		(3,966)	(3,295)	(2,985)
მთლიანი კაპიტალი		5,338	5,444	4,459
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		12,730	9,359	8,273

სრული შემოსავლების ანგარიშგება

შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი რეალიზაციიდან	5,200	10,510
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(4,182)	(8,178)
Gross profit	1,018	2,332
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,156)	(2,530)
FX gain/ (loss)	(135)	37
დისტრიბუციის ხარჯი	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	(14)	(16)
საოპერაციო მოგება	(1,287)	(177)
ფინანსური შემოსავალი	179	59
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1,895	46
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(1,105)	-
ფინანსური ხარჯი	(353)	(238)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	(671)	(310)
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება	(671)	(310)

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისგან მიღებული ფული	6,608	4,439
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადნი სახსრები	(2,102)	(721)
მომწოდებლებზე გადახდილი ფულად სახსრები	(5,323)	(2,706)
მიღებული ავანსები	-	-
სხვა საოპერაციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(817)	1,012
გადახდილი გადასახადები	(801)	(253)
მიღებული პროცენტები	-	-
გადახდილი პროცენტები	(333)	(94)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,951)	665
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადნი ნაკადები გაცემული სესხებიდან	147	(330)
ფულადი ნაკადები მიღებული პროცენტიდან	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	147	(330)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ინვესტიციის გატანა	-	-
მიღებული ფული სესხებიდან	2,246	(163)
სესხის გადახდა	(385)	(200)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1,861	(363)
ფულის და მისი ექვივალენტის ზრდა/შემცირება	57	(28)
ფული და მისი ექვივალენტი წლის დასაწყისში	23	30
საკურსო სხვაობის შემოსავალი/ხარჯი	(29)	(1)
ფული და მისი ექვივალენტი წლის ბოლოს	51	1

კაპიტალის მოძრაობის უწყისი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ:
1 იანვარი, 2017	7,444	(2,985)	4,459
მოგება/ზარალი	-	(310)	(310)
წმინდა ცვლილება კაპიტალში	1,295	-	1,295
31 დეკემბერი, 2017	8,739	(3,295)	5,444
მოგება/ზარალი	-	(671)	(671)
წმინდა ცვლილება კაპიტალში	565	-	565
31 დეკემბერი, 2018	9,304	(3,966)	5,338

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს კავკაზ ცემენტ ჯორჯიას (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ ინფორმაციას. შპს კავკაზ ცემენტ ჯორჯია არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც საქმიანობას ახორციელებს მისამართზე: ქ. თბილისი, ანდრონიკაშვილის ქ. #29.

შპს „კავკაზ ცემენტ ჯორჯიას“ 100%-იანი წილის ფლობელია სს კავკაზ ცემენტი.

საწარმოს გააჩნია ფილიალები ოზურგეთში და ხაშურში, სადაც ახორციელებს თავის საქმიანობას.

შპს კავკაზ ცემენტ ჯორჯია ფლობს ქვიშა-ხრემის 2 საბადოს ოზურგეთში და 1 ქვიშა-ხრემის საბადოს მცხეთაში, და კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშის 1 საბადოს სურამში.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ბეტონის წარმოება და რეალიზაცია, ინერტული მასალების წარმოება და რეალიზაცია და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება და კვარციანი ქვიშის რეალიზაცია.

საშუალო თანამშრომელთა რაოდენობა 2018 წლის მანძილზე იყო 60 ადამიანი.

2. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის აღნიშნული.

3. უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარში) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი

გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ყოველი თვის ბოლოს თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. არაფულადი მუხლები გადაანგარიშებულია 2018 წლის ბოლოს არსებული ეროვნული ბანკის მიერ გაცხადებული გაცვლითი კურსის მიხედვით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ანგარიშგებაში ასახულია საბალნსო ღირებულებით, რაც მცირდება დარიცხული ცვეთის საშუალებით. ცვეთა დარიცხული აქვს წრფივი მეთოდით, შენობა-ნაგებობებზე ცვეთის 5 %-იანი ნორმის გამოყენებით, ხოლო სხვა ძირითად საშუალებებზე ცვეთის 10%-იანი ნორმის გამოყენებით, ხოლო იჯარით აღებული ძირითადი საშუალების რემონტის დანახარჯების გამოქვითა ხარჯებიდან ხორციელდება ცვეთის სახით, წლიური 15 პროცენტიანი ნორმის დარიცხვით. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე რაც აქტივი შედის გამოყენებაში. 2018 წლის მანძილზე ძირითადი საშუალებების გადაფასებას ადგილი არ ჰქონია.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალნსო ღირებულებას შორის სხვაობით და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

5. ლიცენზიები

კომპანიის სარგებლობაში არსებული ბუნებრივი რესურსების ლიცენზიები აღირიცხება საწყისი შემენილი ღირებულებით, და მცირდება დარიცხული ცვეთის საშუალებით. ცვეთა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობას ერიცხება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების წლების მიხედვით.

6. სხვა არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები (პროგრამული უზრუნველყოფა), რომელთაც არ აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, აღრიცხულია თვითღირებულებით.

7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო ხარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალოშეწონილი მეთოდით და შეიცავს პირდაპირ საწარმოო დანახარჯებს, საწარმოო და არასაწარმოო ზედნადებ დანახარჯებს.

8. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია ძირითადად მუშაობს კონსიგნაციაზე, დებიტორული დავალიანების ამოღების საშუალო პერიოდი განსაზღვრულია 60-დან 90 დღემდე. 2018 წელს კომპანიის შეფასებით საექვო მოთხოვნებს ადგილი არ ჰქონია.

9. კაპიტალი

კომპანიის მიერ გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები აღირიცხება მიღებული თანხით. აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალს. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

10. იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. როდესაც კომპანიაა მეიჯარე,

საოპერაციო იჯარით გათვალისწინებული ყველა რისკი და ჯილდო არ გადაეცემა მოიჯარეს, საოპერაციო საიჯარო გადასახდელების საერთო ოდენობა აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, საიჯარო ვადის განმავლობაში პროპორციული აღიარების მეთოდის გამოყენებით.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირების პირობებში წარმოიქმნება უკვე მიწოდებული საქონლით ან/და გაწეული მომსახურებით, რომლის საფასურიც ჯერ არ არის გადახდილი. ეს დავალიანებები კლასიფიცირებულია მოკლევადიან ვალდებულებებად, თუ მათი დაფარვის ვადა ერთ წელზე ნაკლებია. იმ შემთხვევაში, როცა დაფარვის ვადა აღემატება ერთ წელს, ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი. არსებული მდგომარეობით, მოსალოდნელია რომ კომპანია თავის სავაჭრო ვალდებულებებს დაფარავს ერთი წლის განმავლობაში და ისინი კლასიფიცირებულია მოკლევადიან ვალდებულებებად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

12. ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

13. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებითა და გადასახადების გამოკლებით.

14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებების თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ანდრო ბიბილეიშვილი

დირექტორი

2019 წლის 30 სექტემბერი

13. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებითა და გადასახადების გამოკლებით.

14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ანდრო ბიბილეიშვილი

დირექტორი

2019 წლის 30 სექტემბერი

